ა(ა)იპ - ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების"

დირექტორის ბრძანება N 01-03/50

დაბა ხულო რუსთაველის #13

02/09/2019 50-0-4-201909021831

ა(ა)იპ-,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" 2011 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარის ნ. თავართქილაძის და საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ს. მიქელაძის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული შინაგანაწესის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, ახალი შინაგანაწესისა და ფუნქციების განაწილების დამტკიცების შესახებ.

ა(ა)იპ-,,ხულოს მუნციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ,,წესდების" მე- 6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ- ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების"შრომის შინაგანაწესი და ჩამოყალიბდეს დანართ ერთსა და დანართ ორში მითითებული პროექტის და განაწილებული ფუნქციების მიხედვით. დანართი ერთი და დანართი ორი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2011 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარის ნ თავართქილქმის და საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ს. მიქელაძის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული შინაგანაწესი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეზე ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (დაბა ხულო აღმაშენებლის #5).

4. მოქმედი კანონით დადგენილი წესით ბრძანების გამოქვეყნება და მხარეზე ჩაბარება დაევალოს ა(ა)იპ-,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' მთავარ სპეციალისტს ადმინისტრაციულ და საქმისწარმოების საკითხებში ედუარდ იაკობაძეს .

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 19 აგვისტოს #09/7930 წერილი.

გურამ ხოზრევანიძე



დირექტორი
ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება